სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო

საკონკურსო დოკუმენტაცია

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების შესყიდვის მიზნით

ქ. თბილისი 2011 წელი

განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო აცხადებს კონკურს სამინისტროს შენობის ახალი გეგმარებითი სტრუქტურის და არქიტექტურული გარე სახის შექმნის ესკიზურ პროექტის და სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.
2. კონკურსის მიზანს წარმოადგენს ქ. თბილისში სანდრო ეულის ქუჩაზე #3-ში არსებული 7 (შვიდი) სართულიანი ადმინისტრაციული შენობის გეგმარების და გარე არქიტექტურული სახის რეკონსტრუქციით, დედაქალაქს შემატოს თანამედროვე იერსახის კიდევ ღირშესანიშნავი შენობა.
3. კონკურსის ამოცანაა გამოავლინოს საუკეთესო ნამუშევარი, რომელშიც ასახული იქნება ქ. თბილისის მერიის არქიტექტურული სამსახურის სათანადო მოთხოვნები და დამკვეთის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო პირობები.
4. კონკურსის მომწყობია საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო. მისამართი: ქ. თბილისი, ალ. ყაზგების გამზ. #42.
5. კონკურსის მსვლელობისას უპირატესობა მიენიჭება კონკურსანტის კრეატიულ იდეას, არასტანდარტული და არაორდინალური შენობის დიზაინს, რაც გულისხმობს ორიგინალურობისა და პრაქტიკულობის სინთეზს.
6. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს: **75 000,00 ლარს (სამოცდათხუთმეტი ათასი ლარი და 00 თეთრი).**
7. დაფინანსების წყარო: საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს - 2011 წლის საბიუჯეტო ასიგნებები.
8. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან **60 (სამოცი) კალენდარული დღე.**
9. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარს.

   9.1. საფასური გადაიხდება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ანგარიშზე ლარებში (www.procurement.gov.ge).

მიმღების ბანკი	ს.ს. ბანკ „რესპუბლიკის“ ცენტრალური ფილიალი
	ბანკის კოდი: 220 101 757
მიმღები	მიმღები: სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
	მიმღების ანგარიშის # 10591718543

   9.2. საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:
   - გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
   - შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
   - კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
   - საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცახდებისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

10. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება. ამასთან, მე–6 პუნქტის დარღვევით წარდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში, პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.
11. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.
12. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი უნდა იყოს შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ. ამასთან დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. აღნიშნულ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულ თარგმანს.
13. საკონკურსო წინადადებების მიღება დასრულდება - **2011 წლის 17 აგვისტოს 15:00 საათზე.**
14. დაინტერესებულმა პირებმა განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ, საკონკურსო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე, დალუქული პაკეტით უნდა წარმოადგინონ **2011 წლის 17 აგვისტოს 15:00 საათამდე,** შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი ალ. ყაზგების გამზ. #42, **საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროში.**
15. განცხადებას თან უნდა ახლდეს წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნუსხა, ხელმოწერილი განმცხადებლის მიერ.
16. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება და დაუბრუნდება კონკურსანტს.

17. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში, საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მომსახურების სრულად გაწევის შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტისა ან/და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში.
18. საჭიროების შემთხვევაში, მიმწოდებლის მოთხოვნის შესაბამისად, შესაძლებელია გამოყენებული იქნას წინასწარი ანგარიშსწორება ხელშეკრულების **ჯამური ღირებულების არაუმეტეს 40%-სა,** იდენტური ოდენობის საბანკო გარანტიის (გაცემული საბანკო დაწესებულების მიერ) წარმოდგენის საფუძველზე
19. კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.
20. საკონკურსო წინადადება, რომლის ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას **(75 000,00 ლარი)** არ განიხილება.
21. საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით:

#	შეფასების კრიტერიუმი	კოეფიციენტი
1	არქიტექტურული კონცეფცია და ესკიზი	0,8
2	საკონკურსო წინადადების ფასი:	0,2
	სულ:	**1.0**

22. საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეიტანოს ცვლილებები ესკიზში.
23. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, კონკურსანტს აუნაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

24. **კონკურსანტის მიერ კონკურსში მონაწილეობისათვის წარმოსადგენი დოკუმენტაცია:**

24.1. კონკურსანტის შეთავაზება - **დანართი #2-ის** მიხედვით, სადაც მითითებული უნდა იყოს: საკონკურსო წინადადების ფასი (დღგ–ს ჩათვლით), წინადადების ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ ლარში. ამასთან იმ შემთხვევაში თუ კონკურსანტი არ არის დღგ–ს გადამხდელი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მისი საკონკურსო წინადადება წარმოდგენილი და მითითებული უნდა იყოს დღგ–ს გარეშე.

24.2. განაცხადს დანართის სახით უნდა დაერთოს ესკიზური პროექტის ერთი ეგზემპლარი ნაბეჭდი მასალა A3 ფორმატში, ასევე ესკიზური პროექტის ელექტრონული ვერსია (PDF-ის ფაილით) შემდეგი შემადგენლობით და თანმიმდევრობით:
- საპროექტო ორგანიზაციის დასახელება და შესაბამისი რეკვიზიტები;
- სატიტულო ფურცელი ავტორის ან ავტორთა ჯგუფის ხელმოწერით და ორგანიზაციის ბეჭდით;
- განმარტებითი ბარათი, რომელშიც აღწერილი უნდა იყოს პროექტის დახასიათება;
- გენ.გეგმა (შენობის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობით)
- არქიტექტურული გეგმარებითი თვალსაზრისით გამოკვეთილი ორიგინალური გადაწყვეტის არსით;
- შენობის დაშენების, გადახურვის და გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოების, კარ-ფანჯრებზე და ვიტრაჟებზე გამოყენებული მასალების აღწერა-მითითება.

24.3. შენობის რეკონსტრუქციის კონსტრუქციული გადაწყვეტის განმარტება.

24.4. სარეკონსტრუქციო შენობის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები.

24.5. გამარჯვების შემთხვევაში საპროექტო დოკუმენტაციის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება.

24.6. პროექტის გრაფიკული ნაწილი:
- სიტუაციური გეგმა მ1:2000;
- მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა ტოპოგრაფიულ რუქაზე დატანილი მ1:500;
- შენობის ყველა სართულის გეგმები (სტრუქტურული გეგმარების გადაწყვეტა განხორციელდეს გამჭვირვალე ტიხრების პრინციპით) წარმოდგენილი **დანართი #5**-ის გათვალისწინებით მ1:200;
- სახასიათო ჭრილი მ1:200 (არანაკლებ 2-ისა);
- შენობის ყველა ფასადები მ1:200 (გრაფიკული).

24.7. მაღალი ხარისხის ფოტომონტაჟი და რენდერები (მოსაპირკეთებელი მასალების მითითებით).

24.8. ინფორმაცია კონკურსანტის მიერ საქართველოს მასშტაბით განხორციელებული და რეალიზებული ადმინისტრაციული ან საცხოვრებელი შენობის არანაკლებ სამი არქიტექტურული პროექტის შესახებ (შესაბამის ესკიზებთან და ფოტომასალასთან ერთად);

24.9. აფიდავიტი (შევსებული და დადასტურებული კონკურსანტის მიერ) **დანართი #1**-ს მიხედვით.

24.10. კონკურსში მონაწილეს სურვილის შემთხვევაში შესაძლებელია მის მიერ 24-ე პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია წარმოდგენილი იქნას აგრეთვე ელ.ვერსიის (პრეზენტაციის) სახით.

25. **საკვალიფიკაციო მოთხოვნების თანახმად, პრედენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:**

25.1. იურიდიული პირებისათვის:

(1) ცნობა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

(2) ცნობა საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არარსებობის შესახებ.

25.2. ფიზიკური პირებისათვის:

(1) პირადობის მოწმობის (ან პასპორტის) ან/და გადასახადის გადამხდელის სარეგისტრაციო მოწმობის ასლები;

(2) ცნობა საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არარსებობის შესახებ.

26. საკვალიფიკაციო ცნობები და მონაცემები შესაბამისი უწყებებიდან გაცემული უნდა იქნას მხოლოდ საკონკურსო განცხადების გამოქვეყნების დღიდან.

27. საკონკურსო წინადადება ხელმოწერილი უნდა იქნას კონკურსის მონაწილის მიერ, ხელმოუწერელი წინადადებები არ განიხილება.

28. კონკურსი ტარდება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის #3 ბრძანების საფუძველზე.

29. **მიწოდების პირობები და ვადები:**

29.1. კონკურსში გამარჯვებული მონაწილის მიერ სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შედგენილი უნდა იქნეს **დანართი #4-ში** მითითებული ტექნიკური პირობების შესაბამისად.

- არქიტექტურული ნაწილი (მუშა პროექტი);
- ეზოს და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა, პარკინგი და გამწვანება, გამშვები პუნქტის მოწყობა;
- ეზოს განათებისა და სარწყავი სისტემის სქემა;
- კონსტრუქციული ნაწილი;
- ტექნოლოგიური ნაწილი;
- შიდა წყალმომარაგება – კანალიზაცია;
- გარე კომუნიკაციები;
- შიდა ელ.მომარაგება განათება;
- სუსტი დენები;
- ვენტილაცია, კონდენცირება;
- გათბობა (გათვალისწინებული უნდა იქნეს ეზოს ტერიტორიაზე საქვაბის და დიზელ-გენერატორის განთავსება);
- შენობის ფასადური ნაწილის განათების დიზაინი და სქემა;
- ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა;
- ლიფტის მეურნეობა, დამატებითი ერთი ლიფტის მოწყობა;
- კონსტრუქციული ნაწილი;
- მშენებლობის ორგანიზების პროექტი, მშენებლობის გრაფიკი;
- სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია;
- სადემონტაჟო სამუშაოების დეფექტური აქტი და ხარჯთაღრიცხვა.

29.2. კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია კონკურსის მომწყობს წარუდგინოს სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დაბეჭდილი მაღალი პოლიგრაფიული ხარისხით, მაქსიმალურად ასახული ვიზუალური მასალით გამოფენისთვის, მშენებლობის სავარაუდო ღირებულება, ხარჯთაღრიცხვა და მშენებლობის დასრულების სავარაუდო ვადები.

29.3. სახარჯთაღრიცხვო გაანგარიშებების ჯამი არ უნდა აღემატებოდეს **4 000 000,00 ლარს (ოთხი მილიონი ლარი და 00 თეთრი).**

29.4. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში კონკურსანტი ვალდებულია წარმოადგინოს სრულყოფილი პროექტი (ელექტრონული ვერსია ArchiCAD-ის ან AutoCAD-ის პროგრამაში და პროექტის ყველა შემადგენელი ფურცელი PDF ფაილის სახით).

დამატებითი ინფორმაცია:

საკონკურსო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია საკონკურსო კომისიის აპარატში, მიმართვის შემთხვევაში. ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. #42,

საკონტაქტო პირი: ლევან მაღლაკელიძე ტელ: 577 939933.

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

(პროექტი)

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს კონკურსში გამარჯვებულ პრეტენდენთთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

ერთის მხრივ, სასჯელაღსრულების,პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო
(ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის 42),
წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის გიორგი არსოშვილის სახით,
საიდენტიფიკაციო კოდი: #204564934
სახელმწიფო ხაზინა კოდი: 220101222 ა/ა # 200122900;
(შემდგომში "შემსყიდველი")

და მეორეს მხრივ ---------- (მისამართი: ----------) წარმოდგენილი ---------- სახით
საიდენტიფიკაციო კოდი:
საბანკო რეკვიზიტები:
ბანკის კოდი:
ა/ა:

იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველმა ჩაატარა კონკურსი ----------
---

შესყიდვის ობიექტის მოკლე აღწერა

შესყიდვაზე რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის საკონკურსო წინადადება, რომლის თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება შემდეგ თანხაზე: ----------
---

(ხელშეკრულების თანხა ციფრებით, სიტყვიერად და ვალუტის ჩვენებით)

(შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება").

1. **გამოყენებული ტერმინების განმარტებები**
   ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველ ორგანიზაციასა და კონკურსში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება კონკურსში და უწევს მომსახურებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს სამუშაო დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს **საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოები** დანართი N_ შესაბამისად;

2.2 ხელშეკრულების ფარგლებში გასაწევი მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ პირობებში მითითებულ სტანდარტებს.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი და/ან მონიტორინგი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ პირობებთან.

3.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

3.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა შენიშვნის აღმოფხვრა.

3.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

3.5 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამისნისტროს მიერ შექმნილი საკონკურსო კომისია.

4. მიწოდების პირობები და ვადები:

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 (სამოცი) კალენდარული დღის განმავლობაში წარმოადგინოს სრულყოფილი პროექტი (ელექტრონული ვერსია ArchiCAD-ის ან AutoCAD-ის პროგრამაში და პროექტის ყველა შემადგენელი ფურცელი PDF ფაილის სახით) შემადგენლობით:

4.2 კონკურსში გამარჯვებული მონაწილის მიერ სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შედგენილი უნდა იქნეს დანართი #_-ში მითითებული ტექნიკური პირობების შესაბამისად.

- არქიტექტურული ნაწილი (მუშა პროექტი);
- ეზოს და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა, პარკინგი და გამწვანება, გამშვები პუნქტის მოწყობა;
- ეზოს განათებისა და სარწყავი სისტემის სქემა;
- კონსტრუქციული ნაწილი;
- ტექნოლოგიური ნაწილი;
- გარე კომუნიკაციები;
- შიდა წყალმომარაგება – კანალიზაცია;
- შიდა ელ.მომარაგება განათება;
- სუსტი დენები;
- ვენტილაცია, კონდენცირება;
- გათბობა (გათვალისწინებული უნდა იაქნას ეზოს ტერიტორიაზე საქვაბის და დიზელგენერატორის განთავსება);
- შენობის ფასადური ნაწილის განათების დიზაინი და სქემა;

- ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა;
- ლიფტის მეურნეობა, დამატებითი ერთი ლიფტის მოწყობა;
- კონსტრუქციული ნაწილი;
- მშენებლობის ორგანიზების პროექტი, მშენებლობის გრაფიკი;
- სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია;
- სადემონტაჟო სამუშაოების დეფექტური აქტი და ხარჯთაღრიცხვა.

4.3 სახარჯთაღრიცხვო გაანგარიშებების ჯამი არ უნდა აღემატებოდეს - **4 000 000,00 ლარს** (ოთხი მილიონი ლარი და 00 თეთრი).

4.4 მიმწოდებელი ვალდებულია, სრულყოფილი პროექტის წარმოდგენის შემდეგ, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზა სსიპ "ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში".

4.5 მიმწოდებელი ვალდებულია პროექტის რეალიზების პერიოდში განახორციელოს მიმდინარე სამუშაოების საპროექტო ზედამხედველობა და საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს ცვლილებები და დამატებები საპროექტო დოკუმენტაციაში.

4.6 შემსყიდველი იტოვებს უფლებას გამარჯვებული კონკურსანტის მიერ შემოთავაზებული პროექტის რეალიზება მოახდინოს საქართველოს სხვა რეგიონებშიც.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება - ჩაბარება განხორციელდება მიმწოდებლის მხრიდან წარმოდგენილი დოკუმენტების (მიღება-ჩაბარების აქტი, ინვოისი ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა) და სსიპ "ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს" დადებითი დასკვნის საფუძველზე.

5.2 მომსახურების მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირები არიან სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მიერ შექმნილი საკონკურსო კომისია.

6. ფასები და ანგარიშსწორება

6.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში;

6.2 დაფინანსების წყარო: 2011 წლის საბიუჯეტო ასიგნებები;

6.3 შესყიდვი ობიექტის დეტალური აღწერა მოცემული დანართში N___, ფასების ცხრილი;

6.4 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს ---------- (----------) ლარს;

6.5 ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საპროექტო-სახართაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენასთან დაკავშირებული ყველა ხარჯისა და გადასახადის გათვალისწინებით;

6.6 ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტისა და სსიპ "ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს" დადებითი დასკვნის გაფორმებიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6.7 საჭიროების შემთხვევაში, მიმწოდებლის მოთხოვნის შესაბამისად, შესაძლებელია გამოყენებული იქნას წინასწარი ანგარიშსწორება **ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არაუმეტეს 40%-სა,** იდენტური ოდენობის საბანკო გარანტიის (გაცემული საბანკო დაწესებულების მიერ) წარმოდგენის საფუძველზე.

6.8 ფასების ცვლილების შესახებ ამ ხელშეკრულების მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია არ დაეთანხმოს აღნიშნულ ცვლილებაზე.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

7.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

7.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

7.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. უფლებების გადაცემა

8.1 მიმწოდებელს უფლება არ აქვს მოახდინოს შესრულებული პროექტის რეალიზება (განხორციელება) სხვა დამკვეთისათვის.

8.2 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

9. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

9.1 იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული რისკი, წარმოქმნილი მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, კონკურსში გამოიყენება გარანტირების მექანიზმის შემდეგი სახე - **საბანკო გარანტია (გაცემული საბანკო დაწესებულების მიერ)**, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

9.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის (ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევა, ვალდებულების უხარისხოდ, არაჯეროვნად, არასრულად შესრულება და სხვა) შემთხვევაში, მიმწოდებელს საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხა არ დაუბრუნდება).

9.3 საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა მინიმუმ 30 დღით უნდა აღემატებოდეს შესყიდვის ობიექტის (მომსახურების გაწევის) მიწოდების საბოლოო ვადას.

9.4 მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად გაცემული საბანკო გარანტია, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, დაუბრუნდება კონტრაქტის ვადის ამოწურვის შემდგომ 30 კალენდარული დღის ვადაში.

9.5 მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.2%-ს.

10.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10.3 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

11.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი ეტყობინების შემდეგ:

11.1.1 თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ან მისი ნაწილისა;

11.1.2 თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

11.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

11.3.1 თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

11.3.2 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

11.3.3 თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

11.3.4 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11.4 ამ ხელშეკრულების 12.3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

12. ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლისა ან/და მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

13.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

14. გამოყენებული სამართალი

14.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

15. ხელშეკრულების ენა

15.1 ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნას ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლიარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

16. შეტყობინება

16.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელ. ფოსტის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

16.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

17. გადასახადები და დაბეგვრა

17.1 უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს გასაწევი მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

17.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

18.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ზემოთ მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრამდე.

19. სხვა პირობები

19.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

19.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

19.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

19.4 დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

19.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო	
_____	_____
გიორგი აროსშვილი	

დანართი #1

აფიდავიტი

საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

- ჩემთვის ცნობილია, რომ საკონკურსო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;
- უფლებამოსილი ვარ პრეტენენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს საკონკურსო წინადადება;
- ნებისმიერ პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია საკონკურსო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ;
- ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი "კონკურენტი" აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს საკონკურსო წინადადება ამ კონკურსში;
- მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:
    - საკონკურსო წინადადების ფასი;
    - საკონკურსო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
    - საკონკურსო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
    - ისეთი საკონკურსო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული კონკურსის პირობებს;
    - შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება საკონკურსო წინადადება;

* საკონკურსო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს საკონკურსო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე. გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

თანხმობა

პრეტენდენტის დასახელება: _____

ხელმძღვანელის სახელი და გვარი _____

პრეტენდენტის ხელმოწერა _____

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმომწერი, პრეტენდენტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195[1] მუხლის შესაბამისად.

კონკურსანტის შეთავაზება

1.	**პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:**	
	ხელმძღვანელის სახელი და გვარი:	
	პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:	
	საიდენტიფიკაციო კოდი:	
	პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:	
	ელექტრონული მისამართი:	
	ბანკი:	
	ბანკის კოდი:	
	ანგარიშის ნომერი:	
2.	**საკონკურსო წინანადების ღირებულება:** (მითითებული უნდა იყოს ფასი მოიცავს თუ არა დღგ-ს)	
3.	**ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის ოდენობა პროცენტულად:** (ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით)	
4.	**ინფორმაცია ანგარიშსწორების შესახებ:** (შესაძლებელია საავანსო ანგარიშსწორება ხელშეკრულების ღირებულების არაუმეტეს 40%-სა)	
5.	**სამუშაოს შესრულების ვადა:** (მაქსიმუმ 60 კალენდარული დღე)	

პრეტენდენტის ხელმოწერა _____

ბ.ა.

დანართი #3

ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა
(საბანკო გარანტია)

ვის: _____

(შემსყიდველის დასახელება)

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ

_____

(მიმწოდებლის დასახელება)

შემდგომში „მიმწოდებელმა“ _____ კონკურსში წარდგენილი თავისი

(კონკურსის დასახელება)

საკონკურსო წინადადების შესაბამისად იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ თანახმა ვართ გავცეთ მიმწოდებლის სახელზე ზემოთ აღნიშნული გარანტია.

ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე მიმწოდებლის სახელით საერთო თანხაზე:

_____

(თანხა ციფრობრივად, სიტყვიერად, ვალუტის მითითებით)

და ვკისრულობთ ზემო აღნიშნული თანხის გადახდას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე თქვენი პირველივე მოთხოვნისთანავე.

წინამდებარე გარანტია ძალაშია _____

გარანტების ხელმოწერა და ბეჭედი

_____

_____

_____

(თარიღი)

_____

(მისამართი)

ტექნიკური დავალება

შენობის აღწერილობა:

- პროექტირება განხორციელდეს სსიპ კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ცენტრის დასკვნის გათვალისწინებით (#13-83 29.04.2011წ.) შენობის არსებული მზიდი კონსტრუქციების გამოყენებით.
- ბოლო მე-7 სართულზრ ჯიქიას მხრიდან მოეწყოს სარეკრიაციო დანიშნულების ღია ფართი, საორიენტაციოდ 50-60კვ.მ.
- შენობის ფუნქციონალური დანიშნულების და სამსახურების განთავსების სპეციფიკიდან გამომდინარე **დანართი #5-ის** გათვალისწინებით უნდა მოეწყოს: **პირველ სართულზე ორი დამოუკიდებელი ცენტრალური შესასვლელი.**
- შენობის არქიტექტურული გარე სახის ფორმირებისათვის საპროექტო წინადადებაში გათვალისწინებული უნდა იყოს არსებული შენობის ცენტრალური შესასვლელის მხრიდან, ქალაქის კუთვნილ ტერიტორიასთან მიმართებაში, მსუბუქი კონსტრუქციებით შემინული შესასვლელის მოწყობა.
- შენობის სახარჯთაღრიცხვო ჯამური ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს **4 000 000,00 ლარს (ოთხი მილიონი ლარი და 00 თეთრი).**

გამარჯვებულს გამოავლენს საკონკურსო კომისია შემდეგი ძირითადი კრიტერიუმით:

- შენობის არქიტექტურული გადაწყვეტა, კომპაქტური და ზონალურად სწორი შიდა გეგმარება, პრაქტიკული განმოყენებისა და ორიგინალური იდეის თვალსაზრისით;
- საკონკურსო წინადადების ღირებულება

გამარჯვებულ პრეტენდენტთან გაფორმდება სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების შესყიდვაზე.

<u>**თანდართული დოკუმენტაცია:**</u>

1. მიწის ნაკვეთის საკადასტრო რუკა;
2. დასკვნა არსებული შენობის სეისმომედეგობაზე;
3. შიდა გეგმარების გარეშე აზომვითი გეგმების ნახაზი სართულების მიხედვთ (მ1:200);
4. სქემატური გეგმარებითი დავალება (დანართი #5).
5. ტოპოგრაფიული რუქა.

შენიშვნა: *შენობის ფუნქციონალური დანიშნულების და სამსახურების განთავსების სპეციფიკიდან გამომდინარე, დანართი #5 წარმოადგენს საორიენტაციო (სავარაუდო) სქემას.*

7	გ ა ნ ი	WC მინისტრის დასასვენებელი	მ ი ნ ი ს ტ რ ი ს ს ა მ უ შ ა ო ო თ ა ხ ი	სამდივნო	სამზარეულო	სათათბირო 1	დაცვა	მოსასვენებელი	საიდუმლო ოთახი	WC

6	WC wc	გენერალური ინსპექცია (12) უფროსი	პირველი მოადგილე სამდივნო	WC	სათათბირო 2	სამდივნო	მოადგილე WC	სამდივნო	მოადგილე WC	სამდივნო	მოადგილე WC

5	WC wc	ა დ მ ი ნ ი ს ტ რ ა ც ი ა (18) უფროსი	იურიდიული დეპარტამენტი (უდო) (10)	იურიდიული დეპარტამენტი (7) უფროსი	საერთაშორისო დეპარტამენტი (8) უფროსი საერთო დასასვენებე	WC wc

4	WC wc	ეკონომიკური დეპარტამენტი (17) უფროსი	სამედიცინო დეპარტამენტი (21) უფროსი	IT დეპარტამენტი (7) უფროსი	სასერვერო სათათბირო 4	სათათბირო 3 დასასვენებელი	WC wc

3	WC wc	სსიპ პრობაციის ეროვნული სააგენტო (52) მოადგილე მოადგილე უფროსი	სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური (16) უფროსი	სათათბირო 5	დასასვენებელი	WC wc

2	WC wc	საგამოძიებო დეპარტამენტი (9) უფროსი	თბილისის პრობაციის ბიურო (63) მოადგილე უფროსი	ფსიქოლოგი ფსიქოლოგი	დასასვენებელი	WC wc

1	wc WC	მ ი ს ა ღ ე ბ ი	კანცელარია	დაცვა 1 დამლაგებლი მძღოლები	ვიდეო პაემანი	თბილისის პრობაციის ბიუროს ოპერატორები 8	დაცვა 2	WC wc

0	ს ა წ ყ ო ბ ი	არქივი 1-2 იარაღის საცავი	ს ა ს ა დ ი ლ ო 60	WC wc

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო გეგმა

მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: *01.14.05.007.060*
განცხადების რეგისტრაციის ნომერი: 882011058574
მიწის ნაკვეთის ფართობი: *1254* კვ.მ.
დანიშნულება: *არასასოფლო-სამეურნეო*
მომზადების თარიღი 15.02.11



01/2 შენობა-ნაგებობა, პირობითი ნომერი/სართულიანობა	ვალდებულება	ხაზობრივი ნაგებობა	0.00 00.0 (საერთაშორისო) სისტემის კოორდ. UTM
მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი	მშენებარე ნაგებობა	მიწისქვეშა ნაგებობა	



ქ. თბილისი, სანდრო ეულის ქუჩა №3

შენიშვნა : ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲮᲐᲖᲔᲑᲘ ᲓᲐᲢᲐᲜᲘᲚᲘᲐ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲠᲔᲔᲡᲢᲠᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲠᲔᲒᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲝ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲛᲝᲬᲝᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲐᲘᲚᲘᲡ №RegData394413411800942-ᲨᲘ (05.07.2011) ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲖᲔ.



476450m

4618700m

02.07.2011	1:500		

ᲞᲘᲠᲝᲑᲘᲗᲘ ᲐᲦᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘ

ᲜᲐᲫᲕᲘ — ᲭᲐ — ᲝᲜᲙᲐᲜᲘ
ᲨᲝᲗᲚᲘᲡᲬᲘᲜᲐ ᲮᲔ — ᲓᲝᲚᲔ — ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲑᲝᲭᲘ
ᲒᲐᲜᲐᲗᲔᲑᲐ — ᲑᲣᲩᲥᲘ

Ш.პ.ს. "ᲡᲐᲘᲜᲟᲘᲜᲠᲝ ᲡᲐᲫᲘᲔᲑᲝ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ"		
D2-086-106		
ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲐ		Თ.ᲛᲐᲛᲐᲒᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲓᲐᲐᲛᲣᲨᲐᲕᲐ		Ო.ᲭᲣᲙᲝᲕᲩᲙᲘ
ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ		Ი.ᲛᲐᲠᲩᲔᲜᲙᲝ
1:500		02.07.2011

marchenko ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲣᲠᲘ-ᲒᲔᲝᲓᲔᲖᲘᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲘᲜᲟᲘᲜᲠᲝ ᲡᲐᲫᲘᲔᲑᲝ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ
ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲣᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲬᲘᲠᲘ 89/24 ᲥᲐᲚᲐᲥᲐᲠᲝᲕᲔᲚᲘᲡ ᲣᲜᲘᲠᲝᲑᲐ.II ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲗᲐᲮᲘ №7
Email: igor_m@gol.ge tel: +995 32 204 209 mob: 899 429 539

D:\ESS LAND PROJECTS 2011\07.2011\02.07-D2-086-106-SANDRO EULIS DEPARTAMENTI\DWG\02.07-D2-086-106-SANDRO EULIS DEPARTAMENTI.DWG Topo Jul 05, 2011-11:42am

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
სსიპ კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ცენტრი
KIRIAK ZAVRIEVI CENTER OF STRUCTUAL MECHANICS AND EARTQUAKE ENGINERING

N 13-83 29 04 2011 წ.

საქართველოს სასჯელაღსრულების,
პრობაციისა და იურიდიული დახმარების
საკითხთა სამინისტროს მინისტრის პირველ
მოადგილეს პაატა სულაბერიძეს

ბატონო, პაატა

კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის და სეისმომედეგობის ცენტრში თქვენს მიერ 2011 წლის 22 მარტის განცხადების საფუძველზე ქ. ზუგდიდში სანდრო ეულის ქუჩა №3-ში მდებარე შენობის სეისმური მდგრადობის და მასზე ერთი სართული დაშენების თაობაზე გიგზავნით შესაბამის №13-57/3 დასკვნას.

დანართი: დასკვნა №13-57/3 – 6 ფურცელი

პატივისცემით,

მერაბ აბაზაძე

ცენტრის დირექტორი

WWW.EXPERTIZA.GOV.GE WWW.ISMEE.GE

კვლევის ჩატარების საფუძველი

2011 წლის 22 მარტს, ს.ს.ი.პ. კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის და სეისმომედეგობის ცენტრში, მიღებულია საქართველოს სახელმწიფო ინსპექციის, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მინისტრის პირველი მოადგილის პაატა სულაბერიძის მომართვა, ქ. თბილისში სანდრო ეულის ქუჩა №3-ში მდებარე შენობის სეისმური მდგრადობის და მასზე ერთი სართული დაშენების თაობაზე.

კვლევის ჩატარება დამევალა სსიპ კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის და სეისმომედეგობის ცენტრის, სეისმომედეგი მშენებლობის კვლევისა და ექსპერტიზის და კვლევის განყოფილების მთავარ სპეციალისტს ჯემალ ესაიაშვილს, უმაღლესი განათლებით, ინჟინერ-მშენებელის სპეციალობით, 50 წლის მუშაობის სტაჟით.

დასმული შეკითხვები

ქ. თბილისში სანდრო ეულის ქუჩა №3-ში მდებარე შენობის სეისმური მდგრადობის შესახებ რათა განხორციელდეს ნაგებობის შიდა გეგმარებითი და სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები და მის სახურავზე დაემატოს მსუბუქი ტიპის ერთი სართული.

დასკვნა №13-57/3

შემოსვლის თარიღი: 22.03.2011	გასვლის თარიღი: 15.04.2011

დასკვნა

ქ. თბილისში სანდრო ეულის ქუჩა №3-ში მდებარე შენობის სეისმური მდგრადობის და მასზე ერთი სართული დაშენების თაობაზე ვიზუალური შემოწმებისას დადგინდა, რომ შენობის კონსტრუქციების ტექნიკური მდგომარეობა დღეისათვის დამაკმაყოფილებელია. მაგრამ აუცილებელია ზოგიერთი ისეთი დაზიანებების აღნიშვნა, რომელთა გამოსწორება დროულად უნდა მოხდეს ასეთებია: შენობაში არსებული გაუმართავი სველი წერტილები და მიწისქვეშა წყალ-კანალიზაციის ქსელები. კოროზირებული კონსტრუქციების გაძლიერება.

რაც შეეხება შენობაზე ერთი სართულის დაშენებას იგი შესაძლებელია სპეციალურად დამუშავებული პროექტის მიხედვით. ერთი სართულის დაშენება უნდა განხორციელდეს მსუბუქი კონსტრუქციებით. ამასთანავე, აუცილებელია შენობაში 7-ბალზე გათვლილი

სვეტების განტვირთვა ჰორიზონტალური ძალებიდან, სათანადოდ კონსტრუირებული ვერტიკალური დიაფრაგმების მოწყობით, რომლებიც 8 ბალიანი მიწისძვრის შემთხვევაში თავის თავზე მიიღებენ ჰორიზონტალურ სეისმურ დატვირთვებს.

მთავარი სპეციალისტი: ჯ. ესაიაშვილი

გამოკვლევა

საკვლევი ობიექტი 7 სართულიანი კარკასული ტიპის შენობაა. გეგმაში იგი მართკუთხა ფორმისაა ზომებით 60.0X18.0 მ. შენობას მთელ ფართზე გააჩნია სარდაფი, ხოლო მეშვიდე სართულის თავზე დაბალი სხვენია. შენობის ტორსულ ნაწილებში მოწყობილია კიბის უჯრედები და ერთი ლიფტის შახტა. კარკასი აგებულია ვერტიკალური, ჰორიზონტალური, საძირკვლისა და გადახურვის ანაკრები რკინაბეტონის ტიპიური ელემენტებით, რომლებიც ჩვეულებრივ მზადდებოდა საძრეწველო მრავალსართულიანი შენობებისათვის (იხ. კატალოგი "Общесоюзный каталог индустриальных железобетонных и бетонных изделий, обьязателных для применения в промышленом страительстве. Сборник К-2 многоэтажние здании").

აღნიშნული შენობის მზიდი ჩონჩხედი შედგება ურთიერთდაკავშირებული ვერტიკალური და ჰორიზონტალური კონსტრუქციებისაგან. ვერტიკალური ელემენტების-სვეტების განიეკვეთების ზომები 40.0X60.0 სმ-ია. სვეტები ორი ტიპისაა. გარე სვეტი, ცალმხრივი მცირე სიგანის კონსოლური გამონაშვერით, ხოლო შუა სვეტი იგივე ზომებით, ორივე განივ გვერდზე კონსოლური გამონაშვერებით. აღნიშნული კონსოლები რიგელების საყრდენებია. რიგელების და სვეტების შეერთების კვანძები ხისტია, იგი განხორციელებულია, ჩასატანებელი ფოლადის დეტალების ერთმანეთთან შეუღლებით, სათანადო არმირებით.

ასეთნაირად აწყობილი ბრტყელი ჩარჩოები ერთმანეთთან გარძივი მიმართულებით დაკავშირებულია სართულშუა გადახურვის დონეზე მოწყობილი ბრტყელი რიგელებით. მათ შორის კი გადახურვის პანელებია განლაგებული. გვინდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ყოფილ საბჭოთა კავშირში

გამოცემულ საკავშირო კატალოგში მითითებულია, რომ ყველა კონსტრუქციული ელემენტი გათვლილი უნდა ყოფილიყო 7-8-9 ბალზე. ჩვენს შემთხვევაში საკვლევი ობიექტის ყველა კონსტრუქციული ელემენტი გათვლილი იყო 7-ბალზე. სწორედ ასეთი კონსტრუქციებით განხორციელებული ხისტი ჩარჩოვანი სისტემით ხდება ჰორიზონტალური სეისმური დატვირთვების მიღება და მდგრადობის უზრუნველყოფა განივი მიმართულებით, ხოლო გრძივი მიმართულებით მდგრადობის უზრუნველსაყოფად-ბრტყელი ჩარჩოებით, რომლებიც სართულშუა გადახურვების ყველა დონეზე „ბრტყელი" რიგელებით ერთმანეთთან ხისტად არიან დაკავშირებული.

ასეთნაირად აწყობილი 7-სართულიანი კარკასული ნაგებობის გეომეტრიული ზომები აკმაყოფილებს ნორმატიულ მოთხოვნებს. თქვენი წერილის თანახმად, შენობა აგებულია გასული საუკუნის 70-იან წლებში ამ პერიოდში მოქმედი ნორმატივებით რკინაბეტონის კარკასის სიმაღლე არ იზღუდებოდა. ამჟამად მოქმედი ეროვნული ნორმების მიხედვით კი 8 ბალიანი ზონისათვის, რასაც ქ. თბილისის ტერიტორია განეკუთვნება, ასეთი ტიპის რკინაბეტონის კარკასის სიმაღლე დასაშვებია 7-სართულამდე. შენობის კონსტრუქციების ტექნიკური მდგომარეობის ვიზუალური შემოწმებისას არ იქნა გამოვლენილი რაიმე სახის ისეთი დაზიანება, რაც უარყოფითად იმოქმედებდა შენობის საექსპლუატაციო საიმედობაზე. ამავე დროს აუცილებელია ზოგიერთი ისეთი დაზიანებების აღნიშვნა, რომელთა გამოსწორება დროულად უნდა მოხდეს ასეთებია: შენობაში არსებული გაუმართავი სველი წერტილები და მიწისქვეშა წყალ-კანალიზაციის ქსელები, რომელთა შეცვლაც აუცილებელია. სველი წერტილების გადახურვის მონოლითურ კონსტრუქციებში შეინიშნება ლითონის ელემენტების და არმირების კოროზირების ნიშნები. ასევე ბოლო სართულზე, ლიფტის შახტის მიმდებარედ კოროზირებულია რკინაბეტონის კოჭის არმატურის ღეროები. აუცილებელია, შესწავლილობის ფარგლებში კოროზირების შემცირება გაწმენდის გზით ან დამატებითი არმირების მოწყობა და შელესვა მაღალი მარკის ქვიშა-ცემენტის ხსნარით. რაც შეეხება შენობაზე ერთი სართულის დაშენებას იგი შესაძლებელია სპეციალურად დამუშავებული პროექტის მიხედვით. გათვალისწინებული უნდა იქნეს 7-ბალზე გათვლილი სვეტების განტვირთვა ჰორიზონტალური ძალებიდან, სათანადოდ გათვლილი და კონსტრუირებული ვერტიკალური დიაფრაგმების მოწყობით.

მთავარი სპეციალისტი: ჯ. ესაიაშვილი